

## XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის თურქი მთარგმნელები და მკვლევარები

### გულ მუქერემ ოზთურქი

*რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

სტატიის მიზანია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის თურქი მთარგმნელებისა და მკვლევარების კვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია ამ მიმართულებით მწირია. ქართული ლიტერატურის თურქულ ენაზე თარგმნის პროცესი შედარებით გვიან დაიწყო და დღემდე არ აქვს სისტემური და მიზანმიმართული ხასიათი. როგორც ცნობილია, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგეს აჰმეთ მელაშვილმა და აჰმეთ ბანოღლუმ.

თურქეთში ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. შესაბამისად, სტატიაში განხილულია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის თურქული თარგმანები.

*საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, თარგმანი, თურქული ენა, მთარგმნელი.*

კვლევის მიზანია გაარკვიოს, რამდენად იყო და არის დაინტერესებული თურქული საზოგადოება მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმანით და

კვლევით. არსებული მონაცემები ამ მხრივ საკმაოდ მწირია. ქართული ლიტერატურის თურქულ ენაზე თარგმნა შედარებით გვიან დაიწყო და დღემდე არ შეუძენია სისტემური და მიზანმიმართული ხასიათი.

ცნობილია, რომ პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგეს აჰმეთ მელაშვილმა და ნიაზ აჰეთ ბანოღლუმ. 1940 წელს ნიაზ აჰეთ ბანოღლუმ გამოხატა ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი, თუმცა, მის ინიციატივას სათანადო ყურადღება არავინ მიაქცია. თურქეთში ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. აღსანიშნავია, რომ 1969 წელს ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ გერმანული ვერსიიდან ითარგმნა თურქულ ენაზე, რამაც თურქ მკითხველში დიდი ინტერესი გამოიწვია.

რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ თურქი საზოგადოება არ იცნობდა ქართულ ლიტერატურას, დიდ დანაკლისს წარმოადგენდა. ეს კარგად ესმოდათ აჰმედ ოზქან მელაშვილს, იბრაიმ იავუზ გორაძეს და ჰაირი ჰაირიოღლუს. სწორედ მათ მოჰკიდეს ხელი ქართული ლიტერატურის თურქული საზოგადოებისთვის გაცნობის რთულ საქმეს. აჰმეთ მელაშვილმა 1968 წელს გამოსცა წიგნი „საქართველო“, რომელიც თურქ მკითხველს აცნობდა საქართველოს და ამავდროულად მცირე ინფორმაციას აწვდიდა ქართული ლიტერატურის შესახებ [მელაშვილი, 1968, გვ. 129-162]. მანვე თარგმნა თურქულ ენაზე ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“, რომელსაც თარგმანში „ელგუჯა და მზაღო“ უწოდა. თხზულება დაიბეჭდა სტამბოლში 1973 წელს.

ქართული ლიტერატურის თურქულენოვანი თარგმანები მოიცავს: ილია ჭავჭავაძის ლექსებს (მთარგმნელები: ფარნა ბექა

ჩილაშვილი, ოსმან ნური მერჯანი, თაჰსინ სარაჯი, ჰასან ჩელიქი, ჰუსეინ უიგუნი), მოთხრობას „მეზავრის წერილები“ (მთარგმნელები: ალი ალთუნი და ასმათ ჯაფარიძე) და პოემას „განდეგილი“ (მთარგმნელი: ალი ალთუნი). აღნიშნული თარგმანები გამოქვეყნდა ჟურნალ „ჩვენებურში“.

იმავე ჟურნალში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“, მისი ლექსები (მთარგმნელი: ალი ალთუნი) და სტატია „ილიას მკვლელობის შესახებ“ (მთარგმნელი: ოსმან ნური მერჯანი) [ლექსები, 1999, გვ. 25-27]. „ჩვენებურის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიც ხოლო სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილი – ქართული რომანტიზმის მწვერვალი“ დაიბეჭდა ჟურნალ „მამულში“. სტატიის ავტორი ისმაილ იერგუზია [იერგუზია, 1997, გვ. 11-12].

ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორმა ლორენ მიონმა თურქულ ენაზე თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემა „არწივი“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ჩვენებურის“ 35-ე ნომერში 2000 წელს [ფშაველა, 2000, გვ. 34].

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა შეთქმულებამ (1832 წელი) ლიტერატურას ახალი ფორმა და შინაარსი შესძინა. მე-18 საუკუნის ბოლოს დაწყებულ კრიზისს აღნიშნული შეთქმულება დაემატა, რამაც საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების შესანიშნავი პირობები შექმნა.

ქართველი რომანტიკოსების შემოქმედების მოკლე მიმოხილვა აჩვენებს, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მწერლები ცდილობდნენ ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციების გაცოცხლებას. გარდამავალი პერიოდის ავტორები ხელახლა ამუშავებდნენ ქართული კლასიკური ლიტერატურის თემატიკას, თუმცა, განსხვავებული სტილით. აღსანიშნავია, რომ

ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში სრულიად ახალი თემები არ გვხვდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ავტორი სათანადოდ ვერ აფასებს ქართველი რომანტიკოსების წვლილს და მათი მემკვიდრეობის მნიშვნელობას ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით. ქართველ რომანტიკოსთა დვაწლის შეფასება, როგორც მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციების გაცოცხლება ან თემატიკის ხელახალი დამუშავება, ვერ ასახავს მათ ნამოქმედარს სრულფასოვნად.

როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ქართული ლიტერატურის განვითარების გრძელ გზაზე ახალ საფეხურს წარმოადგენს [იერგუზი, ნიკოლოზ., 1997, გვ. 9-10]. მათი შემოქმედება გამოირჩეოდა ახალი პრობლემატიკითა და ახალი ხედვით. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პერიოდისთვის იყო ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციების მიღწევების გადააზრება და, ამასთანავე, ქართული მწერლობის ევროპეიზაციის პროცესის დაწყება. ნიკოლოზ ბარათაშვილი აღიარებულია, როგორც პირველი ევროპეისტი პოეტი, რომელიც სრულად განთავისუფლდა აღმოსავლური ტენდენციებისგან [იერგუზი, ნიკოლოზ., 1997, გვ. 9-10].

1850 წლიდან ქართულ ლიტერატურაში წინა პლანზე გამოდის კრიტიკული რეალიზმი. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ დრამატურგი გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვი, რომლებიც აქტიურად ზრუნავდნენ კრიტიკული რეალიზმის იდეების განვითარებაზე.

ერისთავმა თავისი ნაწარმოებები კომედიური ეპიზოდებით გაამდიდრა, ხოლო ანტონოვის კალამს ეკუთვნის „ქოროლლუს ეპოსი“, რომელიც მისი ყველაზე წარმატებული ნაშრომია.

1850 წლის შემდეგ რეალისტური ნაწარმოებები იწყებს ფორმირებას რეალიზმის როგორც ლიტერატურული მიმართულების ტენდენციები, ან უბრალოდ მიმართულება. . ლავრენტი არდაზიანმა ნაწარმოებით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ასპარეზზე შემოიყვანა ახალი სოციალური ძალა, ხოლო დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხეში“ ასახა ბატონყმობის პრობლემები და ხელი შეუწყო საზოგადოებაში ახალი ცნობიერების დამკვიდრებას.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული რეალიზმი 1850-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში დომინანტური მიმდინარეობა იყო, იგი ერთადერთი არ ყოფილა [იერგუზი, ალექსანდრე., 1997, გვ. 7]. კრიტიკული რეალიზმის პარალელურად არსებობას განაგრძობდა რომანტიზმი, რაც გამოიხატებოდა გიორგი რჩეულიშვილის შემოქმედებაში. თუმცა, უდავოა, რომ ამ პერიოდისთვის რომანტიზმი უკვე კრიზისს განიცდიდა.

1860 წლიდან საქართველოში იწყება გამორჩეული ეპოქა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ლიტერატურას, არამედ კულტურის ყველა სფეროს. ეს არის სამოციანელთა, ანუ თერგდალეულთა ეპოქა. სამოციანელებმა განათლება მიიღეს სანკტ-პეტერბურგში. მათზე დიდი გავლენა მოახდინა რუსულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა და მათ მიზნად დაისახეს ფუნდამენტალური ცვლილებების განხორციელება ქართულ ლიტერატურასა და სოციალურ ცხოვრებაში.

სამოციან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი - პოეტები, მთარგმნელები, მწერლები, აქტივისტები,

სახელმწიფო მოღვაწეები და პოლიტიკოსები. ეს ოთხეული გახდა საქართველოში მე-20 და 21-ე საუკუნეებში გაშლილი ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური შთამაგონებელი.

სამოციანელების მემკვიდრეებად ე.წ. „მთის სკოლის“ მწერლები ითვლებიან, რომელთა შორის აღსანიშნავია ალექსანდრე ყაზბეგი და პოეტი ლუკა რაზიკაშვილი, ცნობილი ვაჟა-ფშაველას სახელით [იერგუზი, ალექსანდრე., 1997, გვ. 8]. ვაჟა-ფშაველა თავის ნაწარმოებებში მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ ილაშქრებდა, ქადაგებდა საყოველთაო ურთიერთდანიშნულებას, პიროვნული ღირსების დაცვას და სხვათა ღირსების აღიარებას.

ბაჩანა და თედო რაზიკაშვილის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე და ეროვნული პრობლემები ღირსეულად ასახა. ვაჟა-ფშაველამ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ახალი თემებითა და სტილით. შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა საკუთარი სკოლა [იერგუზი, ქართული., 1997, გვ. 9]. მისი უპირველესი მსმენელები იყვნენ ლირიკოსი პოეტი ნიკო (ბაჩანა, მისი ძმა) და მისი შვილი, მწერალი თედო რაზიკაშვილი.

1890 წლიდან ქართული ლიტერატურის ასპარეზზე ჩნდება ახალი თაობა, რომელსაც რეალიზმი განვითარების ახალ საფეხურზე გადაჰყავს. მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართულ ლიტერატურაში აქტიურად ვრცელდება მარქსიზმის იდეები. მხატვრულ ნაწარმოებებსა და სხვადასხვა ნაშრომებში მარქსიზმი მკითხველს მიეწოდება, როგორც სისტემა, რომელსაც შეუძლია სოციალური პრობლემების გადაჭრა. ამავე პერიოდში ქართულ ლიტერატურაში ჩნდება მარქსისტული ჯგუფი, რომელიც მოვლენებს განსხვავებული ხედვით აფასებს.

ამ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწერალია ეგნატე ნინოშვილი. ნინოშვილმა კრიტიკული რეალიზმი ახალი ეპოქის გამოწვევების შესაბამისად განავითარა და საფუძველი მოამზადა საქართველოში ე.წ. სოციალისტური რეალიზმის გავრცელებისთვის. მის თხზულებებში („გოგია უიშვილი“, „სიმონა“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“) აისახა ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელ ქართულ სოფლის ცხოვრება.

ამ მიმართულების წარმომადგენლებად ხშირად მოიხსენიებიან დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი და ლალიონი (ა. მამულაშვილი). ზოგჯერ ისინი სოციალისტური რეალიზმის პირველ წარმომადგენლებად განიხილებიან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელისა და ლალიონის სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებად მიჩნევა არასწორია. თანამედროვე კრიტიკის თვალსაზრისით, სოციალისტურ რეალიზმზე, როგორც რეალიზმის პირობით სახეობაზე, თითქმის აღარავინ საუბრობს.

რაც შეეხება ქართული მწერლობის თურქეთში პოპულარიზაციას, მას ხელი შეუწყვეს აგრეთვე თურქმა მწერლებმა, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა მიზნებით იყვნენ ჩამოსულები. მათ თურქეთში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნეს სტატიები ქართულ მწერლობასა და თეატრზე, გადმოსცეს შთაბეჭდილებები საქართველოსა და მის კულტურაზე.

მაგალითად:

- 1979 წლის ივლისში თურქმა მწერალმა ომერ ფარუქ თოფრაქმა გაზეთ „პოლიტიკაში“ გამოაქვეყნა მოგონებები საქართველოს შესახებ.

- ზეინაზ ორალმა ქართულ თეატრს მიუძღვნა სტატია ჟურნალ „ხელოვნებაში“, ხოლო რევიკა ერდურანმა – გაზეთ „მზეში.“
- ნეჯათი ჯუმალმა (წიგნში „რევიზიონისტი“), თარიქ დურსუნმა (გაზეთ „იენი ორთამ“) და ჰალდუნ თანერმა დაბეჭდეს მოგონებები საქართველოს შესახებ.
- ჰაიათი ასილიაზიჯიმ ჟურნალ „მაიაში,“ გამოაქვეყნა სტატიები ქართულ თეატრსა და მწერლობაზე (1969 წლის იანვარ-აგვისტოს ნომრებში).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰაიათი ასილიაზიჯის ვიზიტი საქართველოში 1987 წელს, ილია ჭავჭავაძის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე. თურქეთში დაბრუნების შემდეგ მან თავისი „მოგზაურობის შთაბეჭდილებები“ გამოაქვეყნა ჟურნალ „ბროს“ 1987 წლის დეკემბრის, 1988 წლის იანვრისა და თებერვლის ნომრებში (26-ე და 28-ე ნომრები). მისი სტატიები ძირითადად ქართულ თეატრს ეძღვნებოდა [ჩელიქი, 1988: გვ. 27–29].

ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავის იუბილეზე ასევე მოწვეული იყო აზიზ ჩალიშლარი, რომელმაც ჟურნალ „ბროს“ იანვრის ნომერში დაბეჭდა სტატია ილია ჭავჭავაძის შესახებ [ჩელიქი, 1988, გვ. 27]. ჟურნალის იმავე ნომერში ჰასან ჩელიქმა და თაჰსინ სარაჩმა გამოაქვეყნეს თავიანთი ერთობლივად ნათარგმნი ლექსები [ჩელიქი, 1988, გვ. 28].

ილია ჭავჭავაძის იუბილეზე მოწვეულთა შორის გახლდათ თურქი მწერალი ფაქირ ბაიქურთი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს. მისი ინიციატივით 1987 წლის 4 დეკემბერს გერმანულმა გაზეთმა „თურქეთის ფოსტამ“ გერმანელ მკითხველს ქართველი მწერლები გააცნო [ჯავახიშვილი, 1988, გვ. 5], რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ილია ჭავჭავაძეს. ილია ჭავჭავაძის შესახებ გამოაქვეყნა მასალა

დასავლეთ გერმანულმა ჟურნალმა „მწერლობამ“ 1987 წლის დეკემბრის 28-ე ნომერში. 1988 წლის თებერვლის 29-ე ნომერში კი გამოქვეყნდა სტატია თანამედროვე ქართველი პოეტის, ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების შესახებ რამდენიმე ლექსთან ერთად [ჯავახიშვილი, 1988, გვ. 6].

საქართველოში ყოველთვის იყო ინტერესი თურქეთის ისტორიის, თურქული ენისა და ლიტერატურის მიმართ, რაც დღესაც არ მინელბულა. დაიწერა მრავალი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია და გამოკვლევა, სადაც განხილულია თურქული ენის თავისებურებები, ქართულ ენაში შემოსული თურქული სიტყვები და ქართულ-თურქული ისტორიული თუ ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები.

ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა თურქოლოგიის კათედრა. ქართველი თურქოლოგები იკვლევდნენ როგორც თურქულ ენას, ასევე ლიტერატურას,

მათი კვლევები მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

- თურქული გრამატიკის წესების შესწავლას;
- ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობების ანალიზს;
- ქართულში შესული თურქული სიტყვებისა და თურქულ ენაში შესული ქართული სიტყვების შესწავლას;
- საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებების გამოკვლევას;
- თურქეთში მცხოვრები ქართველების სასაუბრო ენის შესწავლას;
- თურქული საარქივო მასალების ენობრივი თვალსაზრისით ანალიზს;

- ორჰუნის წარწერების ენის შესწავლას;
- ქართული და თურქული ენის ტიპოლოგიური პარალელების შედარებას;
- ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიას.

ზემოაღნიშნული კვლევები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოსა და თურქეთის კულტურულ დიალოგში, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა ორი ქვეყნის ისტორიული და კულტურული ურთიერთობა.

ქართველმა თურქოლოგებმა შეისწავლეს საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში დაცული ოსმალური დოკუმენტები ენობრივი თვალსაზრისით და გამოსცეს მრავალი საინტერესო მონოგრაფია. ამავდროულად გამოიკვლიეს საარქივო მასალებში დაცული მე-18 საუკუნის თურქული ენის სახელმძღვანელო, ქართული ასოებით თურქულ ენაზე დაწერილი „ბიბლია“, „ქოროღლუს“ ქართული ვერსია და სხვა მნიშვნელოვანი ტექსტები.

შეიქმნა ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები და სასაუბროები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2001 წელს გამოცემული თურქულ-ქართული ლექსიკონის ორტომიანი და თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიზმების კრებული, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ სფეროს განვითარებაში.

შესწავლილ იქნა თურქულ ლიტერატურის „დედე ქორქუთის წიგნი“, „ქოროღლუს“ ეპოსი, თურქეთში მცხოვრები ქართველების ზეპირსიტყვიერება, ასევე იმ ცნობილი თურქი მწერლებისა და პოეტების შემოქმედება, როგორებიც არიან: ჯალალედინ რუმი, რუჰი ბაღდადი, იუნუს ემრე, მუჰამედ ფუჰული, ნეფი, ლამი, აჰმეთ ჰაშიმი, მიჰრი ჰათუნი, მეჰმეთ

ემინი, იაქუფ ქადრი, საბაჰათინ ალი, თევფიქ ფიქრეთი, ჰაირულაჰ ეფენდი, ფაქირ ბაიქურთი, სუათ დერვიში და სხვები. ასევე, შესწავლილი იქნა თურქული პოეტიკა.

ქართულ ენაზე ითარგმნა თურქული ზღაპრები, ნასრედინ ჰოჯას ანეგდოტები, „დედე ქორქუთის“ წიგნი, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები, საბაჰათინ ალის, ომერ სეიფეთინის, ორჰან ჰანჩერლიოღლუს, ჰალდუნ თანერის, აზიზ ნესინის, სუათ დერვიშის, ისა ნეჯათის, რეშად ნური გიუნთექინის, იაქუფ ქადრი ქარაოსმანოღლუს, აჰმეთ ჰაშიმის, ბექირ ილდიზის, ფაზილ ჰუსნუ დაღლარჯას, ადალეთ ალაოღლუს, ოქთაი რიფათის, ორჰან ფამუქის და სხვა ცნობილი მწერლებისა და პოეტების შემოქმედება.

**თურქულ ენაზე თარგმნილი ქართული  
ლიტერატურული ტექსტები**

ახვლედიანი ე., *ვანო და ნიკო* (თურქ.: ჩილაშვილი ფ. ბ.), „დედალუსი“, სტამბოლი 2017.

ახვლედიანი ე., *კოლო ქალაქში - რომანი* (თურქ.: ჩილაშვილი ფ. ბ.), „დედალუსი“, სტამბოლი 2016.

ბაქრაძე ე., *ლექსები* (თურქ.: ჩილაშვილი ფ. ბ.), „სინათლე“, სტამბოლი 1998.

ბარათაშვილი ნ., *ქართული რომანტიზმის მწვერვალი* (თურქ.: იერგუზი ი.), „მამული“, სტამბოლი 1997.

გეგეშიძე გ., *ზღაპარი* (თურქ.: ჩილოღლუ ფ. ბ.), „სინათლე“, სტამბოლი 2004.

გელაშვილი ნ., *მე ის ვარ* (თურქ.: ჩილოღლუ ფ. ბ.), „ალაბანდა“, სტამბოლი 2017.

გოგოლაშვილი ვ., *ცისფერი მთების ქვეყანა* (თურქ.: ოზგულ მ.), „ჯემი“, სტამბოლი 1980.

- გოგებაშვილი ი., *იავნანამ რა ჰქმნა?* (თურქ.: ოზთურქი გ. მ., ჯაფარიძე ა.), „კულტური აჟანსი“, ანკარა 2016.
- დირრ ა., *კავკასიური ზღაპრები*, (გერმ.: თანსელი უ.), „იმგე“, სტამბოლი 2018.
- დუმბაძე ნ., *ძვიანი ღამე* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „დედალუსი“, სტამბოლი 2015.
- დუმბაძე ნ., *მე ვხედავ ძუეს* (თურქ.: ქარაორენი მ.), „ე“, სტამბოლი 1969.
- დუმბაძე ნ., *კუკარაჩა* (თურქ.: იბრაჰიმოვა-ჩელიძე გ.), „იაზითი“, ანკარა 1990.
- დუმბაძე ნ., *მარადისობის კანონი* (თურქ.: ალთუნი ა.), „ილმაზი“, სტამბოლი 1990.
- დუმეზილ გ., *გეორგესთან საუბრები*, ორიგინალი: *Entretiens avec Georges Dumézil*, „სინათლე“, სტამბოლი 1998.
- ევგენი დ. დ., *ქართველები კონსტანტინოპოლში* (თურქ.: ჩილაშვილი ფ. ბ.), „სინათლე“, სტამბოლი 2003.
- იბერიელი ს., *ქართველი ხალხის ისტორია*, „ჯინიუსი“, სტამბოლი 2014.
- იუსუფ ვ. ჩ., *ალი და ნინო* (თურქ.: ჰარმან მ.), „ევერესტი“, სტამბოლი 2004.
- კალანდაძე ა., *ლექები* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „სინათლე“, სტამბოლი 1998.
- კეკელიძე გ., *თომას ზღაპრები* (თურქ.: ოქროსცვარიძე ნ., ოზთურქი გ. მ., მეშველიშვილი თ.), „საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 2017.
- კლდიაშვილი დ., *დარისპანის გასაჭირი* (თურქ.: ნიკოლაძე ვ.), „სინერჯი“, სტამბოლი 2017.
- ლეონიძე გ., *ნატვრის ხე* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „ადამი“, სტამბოლი 2003.

- ლექსების კრებული, *ღრმა სევდა* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „სინათლე“, სტამბოლი 1998.
- მალრაძე დ., *სალვე* (თურქ.: ილმაზი ე.), „ენგინ ოფსეთ“, სტამბოლი 2008.
- მალრაძე დ., *ჟაკომო პონტი* (თურქ.: ილმაზი ე.), „ეგე“, სტამბოლი 2008.
- მაჭავარიანი მ., *ლექსები* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „სინათლე“, სტამბოლი 1998.
- მელაშვილი ა. ო., *საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, ფოლკლორი*, „აქსისესა“, სტამბოლი 1968.
- მიგნონ ლ., *ლიტერატურის სტამბოლი*, „ევრენსელი“, სტამბოლი 2016.
- მიტჰათ ა. ე., *ქართველი ასულის შერისძიება* (თურქ.: ტატაროღლუ ა.), „გრაფიკი“, ბურსა 2015.
- მიქელაძე ა., *წერილები აჭარიდან* (თურქ.: ჩილაშვილი ფ. ბ.), „სინათლე“, სტამბოლი 2002.
- მოთხრობების კრებული, *თანხმეერ ასო-ბგერათა ანთოლოგია*, (თურქ.: ჩილაშვილი ფ. ბ.), „ქალემ კულტურ აჟანსი“, სტამბოლი 2017.
- მოჩილაძე ა., *სანტა ესპერანსა*, (თურქ.: გურბუზ-გერჰოლდ ფ.), „ალფა“, სტამბოლი 2018.
- ნიშნიანიძე შ., *ლექსები* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „სინათლე“, სტამბოლი 1998.
- რუსთაველი შ., *ვეფხისტყაოსანი* (აზერბაიჯან.: დინდარი ბ., მაქასი ზ. ა.), „ესერი“, სამსუნ 1991.
- რუსთაველი შ., *ვეფხისტყაოსანი* (თურქ.: მელაშვილი ა. ო.), ნ. 1, „მამული“, სტამბოლი, 1997, გვ. 19-25.
- რუსთაველი შ., *ვეფხისტყაოსანი* (თურქ.: მელაშვილი ა. ო.), ნ. 2-3, „მამული“, სტამბოლი, 1997, გვ. 29-33.

- რუსთაველი შ., *ვეფხისტყაოსანი* (თურქ.: მელაშვილი ა. ო.), ნ. 4-5, „მამული“, სტამბოლი, 1997, გვ. 51-56.
- რუსთაველი შ., *ვეფხისტყაოსანი* (თურქ.: მელაშვილი ა. ო.), ნ. 6-7, „მამული“, სტამბოლი, 1997, გვ. 36-41.
- საიდი ქ., *ალი და ნონო* (აზერბაიჯან.: იუსუფ შ.), „ელჰამრა“, სტამბოლი 2018.
- სალია კ., *ილია ჭავჭავაძე - ქართველი მწერალი* (თურქ.: იერგუზი ი.), ნ. 1, „მამული“, სტამბოლი 1997.
- სალია კ., *აკაკი წერეთელი* (ფრანგ.: იერგუზი ი.), ნ. 2, „მამული“, სტამბოლი 1997.
- ტაბიძე გ., *ლექსები* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), ნ. 3, „მამული“, სტამბოლი 1997.
- ტურაშვილი დ., *ჯინსების თაობა* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „ეზგი“, სტამბოლი 2013.
- ფაღვაა უ., *ჩაუმქრალი კერა* (თურქ.: გორაძე ი.), „არარათი“, სტამბოლი 1977.
- ფური თ., *მდინარე მტკვრის სანაპიროზე*, „დესთექი“, სტამბოლი 2016.
- ფუტკარაძე შ., *სტამბოლის ქართული სავანი* (თურქ.: ჩილოღლუ ფ.), „არტანუჯი“, თბილისი 2012.
- ქართული ზღაპრები, *ზარმაცი კაცი* (თურქ.: ჰაირიოღლუ ჰ.), „გუვერჯინ ჩოჩუქ“, სტამბოლი 1983.
- ქართული ზღაპრები, *მზის ასული* (თურქ.: ჰაირიოღლუ ჰ.), „ესინი“, სტამბოლი 1986.
- ქართული ზღაპრები, *მკითხავი ჰოჩოს ზღაპარი* (თურქ.: ჩილოღლუ ფ., გოცირიძე ი., ჩელიქი ჰ., ჩილ ჰ.), „სინათლე“, სტამბოლი 1998.

ქართული მოთხრობები, *იმედი დიდხანს იცოცხლებს* - მოთხრობები (თურქ.: ჩელიქი ჰ., გურსოითრაქი ფ.), „სინათლე“, სტამბოლი 1998.

ქარუმბიძე ზ., *Dagny or a Love Feast* (ინგლ.: არდა ფ.), „დედალუსი“, სტამბოლი 2014.

ყაზბეგი ა., *კავკასიური მოთხრობები* (თურქ.: ოქანი ნ. ა.), „ვაქით“, სტამბოლი 1937.

ყაზბეგი ა., *ერთი კავკასიური რომანი* (თურქ.: აჰმეთ ნ.), „ვაქით“, სტამბოლი 1941.

ყაზბეგი ა., *კავკასიური სიყვარული* (თურქ.: ბანოღლუ ნ. ა.), „ფინარი“, ანკარა 1964.

ყაზბეგი ა., *ელგუჯა და მზალო* (თურქ.: მელაშვილი ა. ო.), „სინანი“, სტამბოლი 1973.

#### გამოყენებული ლიტერატურა

იერგუზი, ი. (1997). ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები - ვაჟა ფშაველა, (# 3). „მამული“. გვ. 9-10.

იერგუზი, ი. (1997). ნიკოლოზ ბარათაშვილი - ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. (# 4). „მამული“. გვ. 11-12.

იერგუზი ი. (1997). ალექსანდრე ყაზბეგი. (# 4). „მამული“. გვ. 7-10.

ლექსები. (1999). (# 32). „ჩვენებური“. გვ. 25-27.

მელაშვილი, ა. ო. (1968). *საქართველო*. „აქსისედა“.

ფშაველა, ვ. (2000). *ლექსები*, (# 35). „ჩვენებური“. გვ. 34.

ჩელიქი, ჰ., სარაჩი, ჰ. (1988). *ილია ჭავჭავაძის 150 წლის იუბილე* (# 26-27). „ბროი“. გვ. 27-29.

ჯავახიშვილი, მ. (1988). *ეშმაკის ქვა* (თურქ. თარგმ. გორაძე ი. ი.). „ულურ ოფსეთ“.